



# დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი

სპეციალური შეთავაზება უნივერსიტეტებს

20110722

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი წარმოგიდგინებთ დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონს, რომელიც 2010 წლის თებერვალში განთავსდა ინტერნეტში მისამართზე [www.dictionary.ge](http://www.dictionary.ge). ლექსიკონს საფუძვლად დაედო ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ტომები ([www.margaliti.ge](http://www.margaliti.ge)), რომელსაც ლექსიკოგრაფიული ცენტრი გამოსცემს 1995 წლიდან.

## ლექსიკონის შესახებ

დიდი ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონში დღეისათვის შესულია 110 000-მდე სიტყვა-სტატია. იმის გათვალისწინებით, რომ სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში მაქსიმალურად სრულადაა ასახული ინგლისური სიტყვების პოლისემია, შეტანილია უამრავი შესიტყვება, ფრაზული ზმნა, ფრაზეოლოგიური ერთეული, დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, ხელოვნების თუ სხვა სფეროებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია - ლექსიკონში შესული მთლიანი მასალა 800 000-მდე ერთეულს აღწევს.

ონლაინ-ლექსიკონის საძიებო სისტემის მეშვეობით შესაძლებელია როგორც ინგლისური, ისე ქართული სიტყვების, შესიტყვებების, ფრაზების მოძიება. დეტალური ინფორმაცია საიტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და ვიდეო ინსტრუქციები განთავსებულია ბლოგში „ლექსიკონის ინსტრუქცია“.

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი „ცოცხალი ლექსიკონია“. ლექსიკონის სარედაქციო კოლეგია მუდმივ რეჟიმში განაგრძობს ლექსიკონის ახალი სიტყვა-სტატიებით შევსებას, მნიშვნელობების დახვეწა-დაზუსტებას. ლექსიკონზე მუშაობა დაუსრულებელი პროცესია. ენა მუდმივად იცვლება მასზე მოლაპარაკე საზოგადოების ცვლილების კვალდაკვალ. ენაში ჩნდება ახალი სიტყვები, ან უკვე არსებულ სიტყვებს უვითარდება ახალი მნიშვნელობები; ხმარებიდან გადის რიგი სიტყვებისა და მნიშვნელობებისა; ჩნდება უამრავი ახალი რეალია, რასაც ასახვა სჭირდება ენაში. იგეგმება ასევე დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ორტომეულის გამოცემა, რომელიც საუკუნის პროექტად არის შეფასებული.

ლექსიკოგრაფიული ცენტრი ვთავაზობთ მომსახურების კორპორაციულ პაკეტს, რომელიც საშუალებას მოგცემთ ისარგებლოთ ამ უნიკალური პროდუქტით და ასევე თქვენი წვლილი შეიტანოთ დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ორტომეულის გამოცემაში. ონლაინ ლექსიკონის გამოყენებისას გადახდილი თანხა მთლიანად მოხმარდება დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის დასრულებას და მის გამოცემას.

## ტარიფები

ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის მოხმარების ტარიფი, 300 ლარი წელიწადში, საშუალებას გაძლევთ ლექსიკონის მომხმარებლად ჩართოთ თქვენი უნივერსიტეტის ნებისმიერი რაოდენობის IP მისამართი.

თქვენი უნივერსიტეტის დასახელება და ბმული ლოგოსთან ერთად განთავსდება ლექსიკონის ვებ-გვერდზე, კორპორაციული მომხმარებლების ბლოკში.

## რეგისტრაცია

ონლაინ-ლექსიკონზე თქვენი უნივერსიტეტის რეგისტრაციისათვის, გთხოვთ ქვემოთ მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე გამოავაზებოთ შემდეგი ინფორმაცია:

- უნივერსიტეტის დასახელება
- ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ
  - სახელი, გვარი
  - ელ-ფოსტის მისამართი
  - ტელეფონის ნომერი

შემოთავაზებასთან ერთად გიგზავნით ხელშეკრულებას.  
დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დამიკავშირდეთ.

პატივისცემით,  
გიორგი ქერეჭაშვილი  
კორპორაციულ მომხმარებლებთან ურთიერთობის განყოფილება  
contact@dictionary.ge